

**“ჩემი ხმის” შეფასება 26 ოქტომბერს საზღვარგარეთ შექმნილ საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესების თაობაზე**

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში სხვა სახელმწიფოში შექმნილ უბნებზე სადამკვირვებლო მისია „ჩემი ხმა“ არჩევნებს აკვირდებოდა 48 საარჩევნო უბანზე 158 დამკვირვებლის მეშვეობით, რომლებმაც სათანადო მომზადება/ტრენინგი წინასწარ გაიარეს.

**სხვა სახელმწიფოებში გახსნილ უბნებზე ჩატარებული არჩევნების შესახებ**

ემიგრანტებისთვის საარჩევნო უფლების რეალიზების მხრივ საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე - რეგისტრაციისას, საარჩევნო უბნების შექმნისას და კენჭისყრის დღეს შექმნა ამომრჩევლისთვის დაუძლეველი და გაუმართლებელი ბარიერები, რამაც რისკის ათასობით საქართველოს მოქალაქის შეუზღუდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

წინასაარჩევნო პერიოდში საზღვარგარეთ ემიგრანტების რიცხოვნობასთან შეუსაბამოდ მცირე რაოდენობით გახსნილმა საარჩევნო უბნებმა, და შემდგომ, არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნების არასათანადო მოწყობამ დაარღვია არჩევნების საყოველთაობის კონსტიტუციური პრინციპი. ამომრჩევლებს, რომლებსაც არ შეეძლოთ შეუსაბამოდ შორ მანძილზე გადაადგილება დარჩენ ხმის უფლების გარეშე.

კენჭისყრის დღეს ევროკავშირის არაერთ სახელმწიფოსა და აშშ-ში გახსნილ საარჩევნო უბნებზე კენჭისყრის პროცესი ხელმისაწვდომობისა და საყოველთაობის პრინციპის უხეში დარღვევებით წარიმართა. საარჩევნო ადმინისტრაციამ არ გაითვალისწინა ამომრჩეველთა რიცხოვნობისა და მოსალოდნელი აქტივობის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ადამიანური რესურსი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა და რისკის ქვეშ დააყენა მათი არჩევნებში მონაწილეობა. ამ უბნებზე არჩევნების ჩატარება ამომრჩევლებისა და დამკვირვებლების ძალისხმევით მოხერხდა.

**1. არასაკმარისი საარჩევნო უბნების გახსნა**

ემიგრანტებისთვის ხმის მიცემის უზრუნველყოფა და საქართველოს მოქალაქეთა უფლების რეალიზება საზღვარგარეთ არჩევნების დღემდე რამდენიმე თვით ადრე სერიოზულ პრობლემად გამოიკვეთა. არჩევნებში მონაწილეობისთვის ემიგრანტებმა ჯერ კიდევ საარჩევნო წლის დასაწყისიდან დაიწყეს თვითორგანიზება და მობილიზაციის კამპანიები. მათ მიმართეს ყველა სამართლებრივ და საინფორმაციო

ხერხს, რათა ემიგრანტების საარჩევნო ხმის უფლების რეალიზება საარჩევნო ადმინისტრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი ყოფილიყო.

საზღვარგარეთ, დიდ ქალაქებში, სადაც საქართველოს მოქალაქე ამომრჩეველთა რაოდენობა მაღალია, ამომრჩევლები დადგნენ საკონსულო აღრიცხვაზე და წერილობითაც მიმართეს საარჩევნო ადმინისტრაციასა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეხსნათ უბნები, რამდენადაც ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატებოდა 50-ს და არსებობდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულება საარჩევნო უბნების გასახსნელად. **ემიგრანტი საქართველოს მოქალაქეების მიმართვებზე უარს ცესკოს თავმჯდომარე პირადი წერილებით პასუხობდა.** პირადი წერილები კი სასამართლომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად არ ჩათვალა და სამართალწარმოება შეწყვიტა.

საბოლოოდ, ემიგრანტების მიმართვების მიუხედავად საარჩევნო ადმინისტრაციამ უარი თქვა საზღვარგარეთ საჭირო რაოდენობის საარჩევნო უბნების გახსნაზე<sup>1</sup> და საგარეო საქმეთა სამინისტროზე მითითებით საარჩევნო უბნები გახსნა მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქვს დიპლიმატიური წარმომადგენლობები/საკონსულოები.

საბოლოოდ, ცესკომ საზღვარგარეთ 67 საარჩევნო უბანი 42 სახელმწიფოს 53 ქალაქში შექმნა<sup>2</sup>.

## 2. ამომრჩეველთა სიების ფორმირების საკითხი

კიდევ ერთი ხელოვნური ბარიერი, რომლის გადალახვა ემიგრანტებს მოუხდათ სიების ფორმირების საკითხს უკავშირდება, რაც კავშირში იყო საარჩევნო უბნების შექმნის საკითხთან.

26 სექტემბრის მდგომარეობით, ცესკო საგარეო საქმეთა სამინისტროზე მითითებით იუწყებოდა, რომ საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რიცხვი 65 508 იყო, (მაშინ, როდესაც საკონსულო აღრიცხვაზე მდგომი ამომრჩევლების რაოდენობა ამ რიცხვს

---

<sup>1</sup> იხ. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების სარჩელი: <https://sachivrebi.cec.gov.ge/#/368301>

<sup>2</sup> ცესკოს განკარგულება სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ: [https://cesko.ge/static/file/202409261728-Nº191\\_2024-ცესკოს-განკარგულება.pdf](https://cesko.ge/static/file/202409261728-Nº191_2024-ცესკოს-განკარგულება.pdf) ; დანართი - [https://cesko.ge/static/file/202409261747-Nº191\\_2024-ცესკოს-განკარგულების-დანართი.pdf](https://cesko.ge/static/file/202409261747-Nº191_2024-ცესკოს-განკარგულების-დანართი.pdf)

ჯერ კიდევ აგვისტოში აღემატებოდა). 8 ოქტომბერს ამომრჩეველთა სიებში ცვლილების ვადის ამოწურვის შემდეგ საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველთა რაოდენობა 95 834-მდე გაიზარდა. 65 508 საარჩევნო უბნისთვის ცესკომ საზღვარგარეთ 60 უბანი გახსნა, მოგვიანებით კი, 30 326 ამომრჩეველისთვის მხოლოდ 7 უბანი გახსნა დამატებით.

საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა შესაძლებელი იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ პლატფორმაზე - ონლაინ, პირადად გამოცხადებით ან ფოსტით, ასევე, შეემლოთ საარჩევნო უბნებზე საარჩევნო რეგისტრაციის გავლა პირადად 26 ოქტომბერიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით ცესკოს მიერ შექმნილ საარჩევნო უბნებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთ მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ცესკოს ინსტრუქციების შესაბამისად გაიარეს საკონსულო აღრიცხვა, მათ დამატებითი ადმინისტრაციული და ბიუროკრატიული ბარიერები ექმნებოდათ, რის გამოც ვერ ხვდებოდნენ ამომრჩეველთა ერთიან სიაში.

ფაქტობრივად საკონსულო აღრიცხვაზე მდგომი ამომრჩეველების რაოდენობრივი მონაცემის ნაცვლად, საგარეო საქმეთა სამინისტრომ ცესკოს უბნების შექმნის ვადის ბოლო დღეს, 26 სექტემბერს უბნების შექმნის საფუძვლად გადაუგზავნა საკუნსულო აღრიცხვაზე ფაქტობრივად მდგომი ამომრჩეველების რაოდენობასთან შედარებით მცირე რიცხვი.

ასე მაგალითად, საკონსულო აღრიცხვების, მიღმა რჩებოდნენ უცხოეთში მცხოვრები დევნილები, რომელთა რეგისტრაციის ადგილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიაა და ამომრჩეველები, რომელთა რეგისტრაციის მისამართი გაურკვეველია. თავდაპირველად, ცესკო საჯარო განცხადებებში მიუთითებდა, რომ საკითხის ალტერნატიული, არჩევნების საყოველთაობის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საშუალება არ ჰქონდა, თუმცა, მოგვიანებით, ცესკომ ბერკეტი გამონახა<sup>3</sup> და ოკუპირებულ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ამომრჩეველებს, რომლებიც საკონსულო აღრიცხვაზე იდგნენ, ამომრჩეველთა სიაში შეიყვანა.

სიებთან დაკავშირებით პრობლემები გამოვლინდა კენჭისყრის დღეს, როდესაც უბანზე მისული ამომრჩეველები, საკონსულო აღრიცხვაზე ყოფნის მიუხედავად

<sup>3</sup> 2024 წლის 26 ოქტომბერს გასამართი საქართველოს პარლამენტის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიის ფორმირების დამატებითი წესის განსაზღვრის შესახებ

უბნების სიებში არ აღმოჩნდნენ, ან აღმოჩნდნენ სხვა ქვეყანაში გახსნილ საარჩევნო უბნების სიაში.

### 3. არჩევნების დღეს გამოვლენილი პრობლემები

დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, არჩევნების დღეს, აშშ-სა და ევროპის რიგ სახელმწიფოებში შექმნილ უბნებზე კენჭისყრის დაწყებისთანავე გამოიკვეთა მძიმე სურათი, რომელიც მიუთითებდა, რომ საარჩევნო უბნებისთვის გამოყოფილი კენჭისყრის შენობები, ინფრასტრუქტურა, კომისიის წევრთა კომპეტენცია და კენჭისყრისთვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური თუ ადამიანური რესურსი ამომრჩეველთა აქტიურობასთან სრულიად შეუსაბამო იყო.

დაკვირვების შედეგად პრობლემურ საარჩევნო უბნებზე გამოიკვეთა შემდეგი სერიოზული დარღვევები:

- საარჩევნო უბნების სივრცეები ამომრჩეველთა რაოდენობის გათვალისწინებით არასაკმარისი იყო;
- კენჭისყრისთვის არ იყო მოწყობილი სათანადო ინფრასტრუქტურა და არ იყო გამოყოფილი საჭირო რაოდენობის რეგისტრატორი კომისიის წევრები, რამაც შექმნა მრავალათასიანი და მრავალსაათიანი რიგები;
- კენჭისყრის შენობისთვის შეუფერებელი ინფრასტრუქტურის გამო იყო ხმის ფარულობის დარღვევის რისკი;
- საარჩევნო უბნებთან იქმნებოდა ქაოსი და ამომრჩეველებისთვის, დამკვირვებლებისა და კომისიის წევრების ჯანმრთელობისთვის სახიფათო გარემო;
- ხანგრძლივ რიგებში დგომის შემდეგ უბანზე შესული მოქალაქეები რეგისტრატორთა სამაგიდე სიებში არ იძებნებოდნენ, ზოგიერთი მათგანი აღმოჩნდა სხვა ქვეყნის საკონსულოში გახსნილი საარჩევნო უბნის სიებში;
- რიგ შემთხვევებში კედელზე გაკრული ამომრჩეველთა სია არ ემთხვეოდა რეგისტრატორთა სამაგიდე სიებს;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების ნაწილს არ ჰქონდათ გავლილი შესაბამისი ტრენინგები, შესაბამისად სათანადოდ ვერ ართმევდნენ თავს კენჭისყრის პროცედურებს.
- მრავალსაათიანი რიგების პირობებში ამომრჩეველთა ნაწილმა ხმის მიცემა ვერ შეძლო.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე საზღვარგარეთ საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა დიდი რიგების გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი ამომრჩეველთა

რაოდენობასთან შედარებით რეგისტრატორთა ნაკლებობა და სიებში უზუსტობები იყო.

დამკვირვებელთა ინფორმაციით, ყოველი 1500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული იყო ერთი ფარული კენჭისყრის კაბინა და ყოველი 1000 ამომრჩევლისთვის ერთი რეგისტრატორი კომისიის წევრი.

მაშინ, როდესაც საქართველოში იმავე წესით ჩატარებული არჩევნებისთვის ყოველი 300 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებულია სულ ცოტა 1 რეგისტრატორი კომისიის წევრი, ხოლო ყოველი 500 ამომრჩევლისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს 1 ფარული კენჭისყრის კაბინა.

ცესკო მიუთითებდა, რომ კაბინებისა და რეგისტრატორების რაოდენობის განსაზღვრისთვის გამოიყენეს 2013 მიღებული [დადგენილება](#)<sup>4</sup>. თუმცა დადგენილების შინაარსი მიუთითებს რომ კომისიას საჭიროების შემთხვევაში დასახელებულ რაოდენობაზე მეტი რეგისტრატორისა და კენჭისყრის კაბინის განთავსება შეუძლია.

საგულისხმოა, რომ 2013 წელს, ხსენებული დადგენილების მიღებისას საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2024 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად ნაკლები - 49981, ხოლო კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობა 5056 იყო<sup>5</sup>. შესაბამისად, წელს, როდესაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა თითქმის გაორმაგდა, იგივე სტანდარტის გამოყენება გაუმართლებელია და ადმინისტრაციული ორგანოს კეთილსინდისიერების პრინციპისგან გადახვევას წარმოადგენს.

დამკვირვებელთა ინფორმაციით, უბნების დიდ ნაწილზე კენჭისყრის შენობის სიმცირესთან ერთად, კენჭისყრის კაბინები უხარისხო და არამდგრადი იყო, რის გამოც პროცესში კაბინების ნაწილი იქცეოდა, დაზიანდა და საფრთხეს უქმნიდა ხმის მიცემის ფარულობას.

ათენის #38-ე საარჩევნო უბანზე “ჩემი ხმის” დამკვირვებელი გარკვეული პერიოდი არ დაუშვეს საარჩევნო უბანზე, ხოლო მოგვიანებით, უბანზე დაშვების შემდეგ მას

---

<sup>4</sup> ცესკოს 2013 წლის #44/2013 დადგენილება “ზოგიერთი საარჩევნო პროცედურების განსაზღვრის შესახებ” - <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2048997?publication=0>

<sup>5</sup> საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, 2013 წელი: [https://archiveresults.cec.gov.ge/results/2013p/olq\\_87.html](https://archiveresults.cec.gov.ge/results/2013p/olq_87.html)

სრულფასოვნად დაკვირვების საშუალება არ მიეცა: კერძოდ, შეეზღუდა ფოტო-ვიდეო გადაღების უფლება, ხოლო კომისიამ უარი განაცხადა საჩივრის ჩაბარებაზე.

**ნიუ-იორკში** გახსნილი იყო ოთხი საარჩევნო უბანი, სადაც მთელი დღის განმავლობაში იდგა მრავალსაათიანი რიგები. საარჩევნო უბნები ვერ აუდიოდნენ და ვერ ატარებდნენ ამომრჩეველთა ნაკადებს. ამასთან, ჭირდა ამომრჩეველთა სიაში მოძებნა, რადგან ყველა რეგისტრატორს არ ჰქონდა სათანადო კომპეტენცია. საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ამომრჩეველთა ნაკადს არეგულირებდა ადგილობრივი პოლიცია, ასევე პროცესს დახმარებას უწევდნენ მოხალისეები და დამკვირვებლები, მიუხედავად ამისა, ამომრჩევლებს ხმის მისაცემად უწევდათ საათობით დგომა რთულ კლიმატურ პირობებში, ქუჩაში, სადაც არ იყო საზოგადოებრივი საპირფარეშოები. უშუალოდ შენობაში, ასევე არ იყო კონდიციონერა, რის გამოც ამომრჩევლებს ექმნებოდათ ჯანმრთელობის პრობლემები, ხოლო დამკვირვებლებისთვის პროცესზე დაკვირვება რთულდებოდა.

დამკვირვებელთა თქმით, გამონაკლისს წარმოადგენდა ნიუ-იორკის მე-6 უბანი, რომელიც შედარებით უკეთ გაუმკლავდა რიგებს - მოწესრიგებული სიებისა და კომისიის წევრთა კომპეტენციის გათვალისწინებით.

**მადრიდის #17-ე** საარჩევნო უბანზე, სპეციალურ სიაში რეგისტრირებული იყო 2146 ამომრჩეველი, რომელთათვის გამოყოფილი იყო მხოლოდ 2 რეგისტრატორი კომისიის წევრი. უბანზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენდა მრავალსაათიანი, დაურეგულირებელი რიგის პრობლემა, რასაც ემატებოდა ის, რომ ამომრჩევლებს რიგში დგომა არა ღია სივრცეში, არამედ დახურულ შენობაში ოთხი სართულის კიბეებზე უწევდათ, ხოლო, პარალელურად უბანზე მოხვედრა ლიფტის საშუალებითაც იყო შესაძლებელი, რაც რიგის დაცვას ართულებდა. ამ პირობებში რიგში დგომას ისიც ართულებდა, რომ იქ მოხვედრილი ადამიანები, ვერც წინ მიიწევდნენ და ვერც უკან ბრუნდებოდნენ. **საბოლოოდ, დამკვირვებლებმა დააფიქსირეს ამომრჩევლები, რომლებიც გაუსაძლისი პირობების გამო ბრუნდებოდნენ უკან არჩევნებში მონაწილეობის გარეშე.**

**რომის #64-ე** საარჩევნო უბანზე სივრცე სრულიად არ შეეფერებოდა საარჩევნო უბნისა და ამომრჩეველთა რაოდენობის საჭიროებებს. კენჭისყრის ოთახი იყო ძალიან პატარა, რაც დაკვირვებას შეუძლებელს ხდიდა, ხოლო ამომრჩევლებისთვის ქმნიდა სერიოზულ დისკომფორტს. აქედან გამომდინარე, უბანზე იყო ქაოსი და ხანგრძლივი რიგები.

ანალოგიური სიტუაცია იყო პარიზის, მადრიდის, ბარსელონის, ფრანკფურტის, ბერლინის, პრადის საარჩევნო უბნებზე.

მილანის #29-ე საარჩევნო უბანზე, ამომრჩეველთა სიაში რეგისტრირებული იყო 2252 ამომრჩეველი, რომელთათვის გამოყოფილი იყო 3 რეგისტრატორი და სამი ხმის მიცემის კაბინა, რაც ამომრჩეველთა რაოდენობისა და აქტივობის გათვალისწინებით არ იყო საკმარისი და იწვევდა ხანგრძლივ რიგებს. ინვენტარი, მაგალითად, მარკირების შესამოწმებელი ფანარი ხშირად გამოდიოდა მწყობრიდან, ამის გამო დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც შეკეთებამდე რამდენიმე ამომრჩეველს მარკირება ვერ შეუძლონ.

მილანის #29 და ნიუ-იორკის #7 საარჩევნო უბნებზე გამოიკვეთა, რომ კედელზე გამოკრული ამომრჩეველთა სია არ ემთხვეოდა საუბნო კომისიის მიერ გამოყენებულ სამაგიდე სიებს.

მილანში 50-მდე მოქალაქე ამომრჩეველთა ერთიან სიაში, საკონსულო აღრიცხვაზე კანონით განსაზღვრულ ვადაში (7 ოქტომბრამდე) დადგომისა და აქტიური სტატუსის მიუხედავად, საუბნო კომისიის სამაგიდე სიებში ვერ მოიძებნა და შესაბამისად, ვერ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა ბერლინში, ნიუ-იორკში, ვაშინგტონში, ლონდონში, რომში, მადრიდში, სტამბოლსა და ვენაში.

ასევე, შტუტგარტის საარჩევნო უბანზე საკონსულო აღრიცხვაზე მდგომ 8 ამომრჩეველს საკონსულო აღრიცხვაზე ყოფნის მიუხედავად თავი უბნის სამაგიდე სიაში არ დახვდათ, თუმცა, მათგან 6 ამომრჩეველი აღმოჩნდა ვარშავაში გახსნილ საარჩევნო უბნის სიაში. ასევე, არაერთი მოქალაქე, რომელიც საკონსულო აღრიცხვაზე იდგა და ხმას აძლევდა ფრანკფურტში, აღმოჩნდა ბერლინის უბანზე გახსნილ საარჩევნო სიაში, ხოლო ამომრჩეველი, რომელიც ხმას აძლევდა რომში აღმოჩნდა მილანში და ნიუ-იორკში გახსნილი საარჩევნო უბნის სიაში. მათთვის აუხსნელია, რანაირად აღმოჩნდნენ სხვა საარჩევნო უბნების სიაში.

#### 4. არაუფლებამოსილი პირები საარჩევნო უბანზე

დამკვირვებელთა ინფორმაციით რამდენიმე უბანზე ადგილობრივი კონსულები, სტატუსის გარეშე გადაადგილდებოდნენ კენჭისყრის შენობაში. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა: ტალინში, ბარსელონაში, ფრანკფურტში, რიგაში, ჰელსინკიში, შტუტგარტში, პრადაში, ბრიუსელში შექმნილ საარჩევნო უბნებზე.

ფრანკფურტის საარჩევნო უბანზე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, ზურაბ კალანდაძემ დამკვირვებლებსა და ამომრჩევლებს მიაყენა მძიმე სიტყვიერი შეურაცხყოფა.